6957/3-87/21 2 07072021

6957/3-87/21
07-07-2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძე

ბატონო კახა, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის 5 ივლისს, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტერიტორიაზე დამონტაჟდა ჯვრის ფორმის რკინის კონსტრუქცია, არის თუ არა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა ზემოთ აღნიშნული კონსტრუქციის დამონტაჟების შესახებ? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მომაწოდოთ ნებართვის ასლი.
2. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 5 ივლისს დამონტაჟებული რკინის კონსტრუქციის განთავსებისთვის საჭირო ნებართვა, არის თუ არა კლასიფიცირებული აღნიშნული კონსტრუქცია როგორც „უნებართვო“ და დაწყებულია თუ არა ადმინისტრაციული წარმოება კონსტრუქციის დემონტაჟის შესახებ?

ბატონო კახა, გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე